პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 13 თებერვალი 1926 წ. — წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

33 (1028) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24. განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## მორიგი ამოცანა

ახლოვდება ორი დიდი დღესასწაული—წითელი არმიის 8 წლისა და საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავი, რომელიც ჩატარებულ უნდა იქნას გეგმიანად და რომელსაც უნდა მიეცეს ფართო ხასიათი.

ეს დღესასწაულები ფართოდ უნდა გააშუქოს ჩვენმა გაზეთმაც. მხოლოდ ამას ჩვენ შევძლებთ მაშინ თუ მის მუშაობაში სადღესასწაულო ნომრების გამოშვებისათვის, მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას ნაწილებში მომუშავე ამხანაგებიც.

რამდენიმე დღე რჩება კიდევ თვით დღესასწაულებამდე, ე. ი. 23—25 თებერვლამდე. ჩვენი გაზეთის რედაქციას კი ჯერჯერობით ადგილებიდან არ მიუღია მასალები, რომლებიც ეხებოდეს დღესასწაულს.

ყოველივე ამას უნდა მიექცეს მალე სათანადო ყურადღება და საჭირო იქნება დროზე გამოიგზავნოს სათანადო მასალები ადგილებიდან.

რაზე უნდა მოგვაწოდოს მასალები ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა და განსაკუთრებით კი სამხკორებმა? უპირველეს ყოვლისა საჭირო იქნება დაიწეროს მოგონებები წითელი არმიის ისტორიიდან, იმ ამხანაგების მიერ, რომლებიც ღებულობდენ მონაწილეობას წითელი არმიის ჩამოყალიბების საქმეში და მის ბრძოლებში სამოქალაქო ომის სხვა და სხვა ფრონტებზე. გარდა ამისა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს წითელ არმიის და კერძოდ კავკასიის წითელდროშოვან არმიის ძმურ დახმარებას ამიერ კავკასიის მშრომელების განთავისუფლების საქმეში.

ამასთანავე ერთად სამხკორებმა თავიანთ წერილებით უნდა აღნიშნონ ის მიღწევები, რომელიც აქვს ჩვენს ნაწილებს უკანასკნელის ჩამოყალიბების დღიდან—დღევანდლამდე. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტერ-ნაწილების ჩამოყალიბების საქმეს. აქ ვრცლად უნდა აღინიშნოს, თუ როგორია სამხედრო, პოლიტიკური და საერთო განათლების დარგების მუშაობა და რა მიღწევები გვაქვს საერთოდ.

რაც შეეხება საკითხს საქართველოს გასაბჭოების შესახებ, ამაზე კი უფრო დაწვრილებით უნდა შეჩერდეს ადგილებზე მომუშავე ამხანაგები, აღნიშნონ საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობა, მიღებული მიღწევები ამ ხუთი წლის განმავლობაში და საქართველოს წითელი არმიის ჩამოყალიბება.

დღესასწაულები ახლოვდება! დასწერეთ წერილები და კორესპონდენციები და გაუგზავნეთ თქვენს გაზეთს „წითელ არმიელს“. ამით კი საშუალება მიეცემა გაზეთს ფართოდ აღნიშნოს ეს დღესასწაულები, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყველა ჩვენთაგანისათვის.

## „კიდევ რას იტყვით?“

ამ შეკითხვას უყენებთ ჩვენ ლატვიის მთავრობას, ვინაიდან უკვე ერთი კვირა გავიდა ჩვენ შიკრიკებზე თავდასხმის შემდეგ, ხოლო ლატვიის მთავრობა განაგრძობს პროვოკაციას და სცდის საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრის მომთმენიანობას.

როგორ! ნუთუ ასე გაგრძელდება გამოძიება სისხლის სამართლის ბოროტმოქმედების ნიშან ქვეშ? ნუთუ როგორც უბრალო გაძარცვა ისე გამოაცხადებენ საგამომძიებლო მასალებს?

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი ამ მდგომარეობას ვერ შეურიგდება. აუარება პროტესტის დეპეშები, რომელიც მისდის მთავრობას საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან ჰმოწმობენ საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა უღრმეს აღშფოთებას ლატვიის ოფიციალურ ხელისუფლებათა გაუგონარი ბოროტმოქმედებისა და ვერაგულ საქციელის გამო.

საბჭოთა კავშირს სურს ჰქონდეს რეალური გარანტია, რომ გამოძიება მიმართული იქნება სათანადო გზაზე საქმის ჭეშმარიტი ვითარების გამოძიების მიზნით.

საბჭოთა კავშირმა უნდა მიაღწიოს იმას, რათა ლატვიის სახელმწიფოს ფრთებ ქვეშ ამოფარებული თეთრგვარდიელთა ემიგრაცია უვნებელყოფილ იქნას; რომ ნამდვილად იქნას უზრუნველყოფილი როგორც ლატვიაში მყოფ, ისე მის ტერიტორიაზე მოგზაურ საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლების ხელშეუხებლობა.

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი უყენებს ლატვიის მთავრობას კითხვას—კიდევ რას იტყვით?—და სურს რაც შეიძლება ადრე მიიღოს დამაკმაყოფილებელი პასუხი“.

# ახალი რადიო ამბები

## პოლონეთის უმუშევრები ჩვენში მოილტვიან.

ლოძის უმუშევრებს შეაქვთ განცხადებები საზღვარგარედ წასავალ უფასო ბილეთების მიცემის შესახებ. უმუშევრები სცდილობენ საბჭოთა კავშირში შემოსვლას სამუშაოსთვის.

## პოლონურ ჯოჯოხეთში.

პოლონეთის სეიმის კომისიამ დაასრულა მუშაობა ციხეების გამოკვლევის საქმეში.

კომისიამ გამოარკვია, რომ პოლიტიკურ პატიმართა დიდი უმეტესობა ზის გამოუძიებლად. პირობები აუტანელია. სიკვდილის შემთხვევები ხშირი. ლოძის ციხეში აღმოჩენილ იქნა საკანი, რომელიც წარმოადგენს უსინათლო ნოტიო ორმოს.

პოლიციის საპატიმრო სახლებში პატიმართა ტანჯვა-წამება ჩვეულებადაა გადაქცეული.

## ყალბი ფულის მოხელეები მთავრობის მფარველობის ქვეშ.

უნგრეთის მემარჯვენე ორგანიზაციებმა დანიშნეს ყველა მსხვილ ქალაქებში დემონსტრაციები მემარცხენეების წინააღმდეგ ყალბი ფულის მოხელეების საკითხში. შიშობენ, რომ სოციალ-დემოკრატებმა არ გაამწვავონ საქმე და არ გაილაშქრონ მთავრობის წინააღმდეგ; სოციალ-დემოკრატებს აუკრძალეს კრებების მოწვევა ყალბი ფულის მოხელეთა საქმესთან დაკავშირებით.

## დროებითი მთავრობა დამასკში.

საფრანგეთის უზენაეს კომისარმა სირიაში დე-ჟუვენელმა გამოაქვეყნა დეკრეტი დამასკში დროებითი მთავრობის დაარსების შესახებ.

არჩევნების გათავებამდი ძალა-უფლება იქნება უზენაეს კომისრის საგანგებო დელეგატის ხელში.

## ოსმალეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცება

11 თებერვალს მეჯლისმა ერთხმად დაამტკიცა გასულ წლის 17 დეკემბერს პარიზში საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის დადებული ხელშეკრულება.

## სპარსეთის მეჯლისი

11 თებერვალს დაიხურა სპარსეთის მეჯლისის მეხუთე სესია.

## დარვინის თეორიის წინააღმდეგ*)

მისისიპის შტატის პარლამენტმა (ამერიკაში) მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს დარვინის თეორიის სწავლებას სკოლებში. ტეხასის სკოლებში შლიან სახელმძღვანელოებიდან იმ ადგილებს, რომლებშიაც მოყვანილია ადგილები დარვინის თეორიის შესახებ.

*) დარვინის თეორია—სწავლება ადამიანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანი უნდა წარმომდგარიყო მაიმუნის ერთი ჯიშისაგანო.

## ოსმალეთ—სამხრეთ სლავიის ხელშეკრულება

16 თებერვლიდან დაიწყება მოლაპარაკება ოსმალეთ და სამხრეთ სლავიის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

# საბჭოთა კავშირში

## ტირსეულ რევოლიუციონერის სახსოვრად

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა მიიღო თავრიზიდან შემდეგი დეპეშა:

„სსრკ-ს საკონსულომ თავრიზში მიიღო ცნობა ჩვენს კურიერებზე თავდასხმის შესახებ. ამხანაგების გმირულ მოქმედებით აღფრთოვანებული საკონსულოს მომუშავენი გთხოვთ გადასცეთ ჩვენი წრფელი თანაგრძნობა მათ ოჯახებს. საკონსულო ჰკრებს შემოწირულებას, რათა აღმოსავლეთის მცოდნეობის ინსტიტუტში მოკლულის სახსოვრად დაარსებულ იქნას სტიპენდია და გთხოვთ თქვენ მხარი დაუჭიროთ ამ თაოსნობას.

## ნეტტეს სახელობის გემი.

საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მმართველობამ დაადგინა გადაარქვას გემ „სორიას“ ლატვიაში მოკლულ დიპლომატიურ შიკრიკ „თეოდორ ნეტტეს“ სახელობის გემი.

# საქართველოში

## საბჭოთა ხელახალი არჩევნები.

### ფარცხანაყანევში.

დამთავრდა არჩევნები. შესდგა ახალი საბჭოს გაერთიანებული საორგანიზაციო კრება. არჩეულ იქნა აღმასკომი 5 კაცისაგან. დადგენილ იქნა სექციების მოწყობა; სასოფლოსამეურნეო, კულტურულ საგანმანათლებლო საფინანსო-საგადასახადო, საგზაო, საადმშენებლო, საარხო სასანიტარო— სავეტერინარო და სარევიზიო.

### მუხიანის თემში.

თემის საბჭოში არჩეულ იქნა 19 წევრი, მათ შორის სამი ქალია. ქალების არჩევამ პროტესტი გამოიწვია გლეხების მხრივ, მაგრამ საქმის ახსნის შემდეგ ხელისუფლების მიერ, საკითხი მოგვარებულ იქნა.

### ახალციხეში.

სამაზრო საარჩევნო კომისია იწყებს საბჭოთა ხელახალი არჩევნების ჩატარებას.

12 თემმა 19-დან გამოგზავნეს იმ პირთა სიები, რომლებსაც არ აქვთ საარჩევნო უფლება.

უკანასკნელთა რაოდენობა უდრის 181 კაცს.

## აჭარისტანის პროფკავშირთა მე-6 კონფერენცია.

10 თებერვალს ბათომში ცენტრალურ მუშათა კლუბში გაიხსნა აჭარისტანის პროფკავშირთა მე-6 კონფერენცია. თავი მოიყარა 400 დელეგატზე მეტმა ქალაქიდან და მაზრებიდან. საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად იქნენ არჩეულები ამხ. ამხ. სტალინი, ტომსკი, ორჯონიკიძე და ყურულიშვილი.

პირველ დღეს მოსმენილ იქნა პროფსაბჭოს მდივნის ამხ. ხვედელიძის მოხსენება პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ გასული წლის განმავლობაში.

პროფსაბჭოს მუშაობაში კონფერენციის მიერ აღნიშნულია მნიშვნელოვანი მიღწევები. მოხსენების გამო მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც სცნობს პროფსაბჭოს მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად.

ცირკულიარულად

## მე-2-ე ქარ. მსრ. დივ. ყველა ნაწილების, მეთაურთა და პოლიტსკოლების პარტკოლექტივების (კომუჯრედების) ბიუროებს.

მიმდინარე წლის თებერვლის 25-ს სრულდება 5 წ.საქ. გასაბჭ. ეს დღესასწაული ხვდება წითელი არმიის რვა წლის თავს (23 თებერვალი). ამავე დღეებში სრულდება ხუთი წელი საქართველოს პროფკავშირების დაარსებიდან. ამის და მიხედვით კამპანია უნდა გატარდეს ყველა ამ მნიშვნელოვან დღესასწაულების აღნიშვნით. კამპანია გატარებული იქნება თებერვლის 23—28 რიცხვებში. საამისო გეგმა შემუშავებული იქნება ადგილობრივი მომწყობი კომისიების მიერ (აღმასკომებთან), სადაც უნდა გაგზავნილ იქნეს თქვენი წარმომადგენლები. საერთოდ კამპანიის ჩატარებაში უნდა იხელმძღვანელოთ კომისიების მიერ გამომუშავებული გეგმით. რაც შეეხება შინა-კამპანიას იხელმძღვანელეთ ქვემოთ ნაჩვენებით:

1. კამპანიების ჩატარება უნდა ეხებოდეს იმ მიღწევების გაშუქებას, რომელიც მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე წითელი არმიის დამსახურებას და კერძოდ კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მნიშვნელობას საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების საქმეში

2. აღნიშნული კამპანიების გაშუქებას დაეთმოს სამი პოლიტმეცადინეობა, თებერვლის 21—24—26 რიცხვებში.

3. ნაწილის საერთო კრებაზე გაკეთებულ იქნეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: ა) „საბჭოთა ხელისუფლების მიღწევანი საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე“ ბ) „წითელი არმიის რვა წლის თავი“, გ) „პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტის გაძლიერება“ (ინგლისის და საბჭოთა პროფმოძრაობის მთლიანობის კომიტეტი).

4. კლუბი, ბიბლიოთეკა და ლენკუთხეები მორთული იქნენ შესაფერისი ლოზუნგებით, პლაკატებით და დიაგრამებით.

5. ლენკუთხეებში ჩატარებული იქნეს საუბრები შემდეგ თემებზე: ა) „საქართველო მენშევიკების ბატონობის დროს“, ბ) „საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები“, გ) „წითელი არმიის და კერძოდ საქართველოს წითელი ჯარის ისტორია“, დ) „კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის დამსახურება საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებაში“.

6. წრეების მუშაობა მიმართული იქნას აღნიშნულ საკითხების გასაღრმავებლად. წრეების მიერ დამზადებული იქნას დიაგრამები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს მეურნეობის და მრეწველობის დარგებში. დამზადებული იქნას აგრეთვე პლაკატები და ლოზუნგები.

7. მასიურ მუშაობაში გამართული იქნეს ერთი მხატვრული საღამო, პიესების და ინსცენიროვკების დამზადებას მიექცეს უდიდესი ყურადღება, საღამოზე მოწვეული იქნენ მუშები და ადგილობრივი მოსახლეობა.

8. ბიბლიოთეკამ შეადგინოს წიგნების სარეკომენდაციო სიები და მოაწყოს წიგნების გამოფენა. მიექცეს ყურადღება ფართედ გავრცელებას იმ წიგნებისა, რომლებიც ეხებიან საქართველოს გასაბჭოებას და წითელ არმიას. მასიურ საღამოებზე მოეწყოს „ცოცხალი ბიბლიოგრაფია“.

9. გამოშვებულ იქნეს მხატვრული კედლის გაზეთი.

პოლიტგანყოფილების
უფროსი **მარკაროვი.**
აგიტპროპნაწილის
უფროსი **ადამაძე.**

# სამხედრო საქმე.

## ქიმია ომში.

### ხელით და თოფით სასროლი ქიმიური გრანატები.

ქიმიური გრანატა თავის გარეგანი სახით და აღნაგობით არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი გრანატისაგან, მაგრამ შიგნით აფეთქი ნივთიერებათა მაგივრად ავსებულია მომწამლავ (ცრემლის მგვრელ) სითხით. გახეთქის დროს სითხე იქცევა ორთქლად, რომელსაც აქვს თვისება გაალიზიანოს თვალები და სასუნთქი ორგანოების ლორწოიანი გარსი. ადამიანს იპყრობს ძლიერი ხველა, რომელიც გადადის პირღებინებაზე, ხოლო თვალების გალიზიანების გამო გადმოდის ცრემლი, რომელიც ხელს უშლის რისიმე დანახვაში.

გრანატები იყოფა ხელით და თოფით სასროლ გრანატებად.

ხელის—ქიმიური გრანატები იხმარება უმთავრესად იმ შემთხვევაში, როცა მტერი ჩამჯდარია რაიმე საფარში (ბლინდაჟი, სანგარი, შენობა და სხვა).

იხმარება კიდევ ხელის გრანატა, რომელიც ცრემლის მგვრელ ნივთიერების გარდა ივსება ფაიფურით. ფაიფურიანი გრანატა, გარდა მომწამლავ მოქმედებისა, აჩენს კვამლის ღრუბელს, რომელსაც შეუძლია დაჰფაროს მტრის თვალისაგან მეომართა მცირე ჯგუფები.

ფაიფურიანი გრანატა იხმარება შეტევის დროს, უკანასკნელ მომენტში იერიშზე მისვლის წინ. კვამლის ღრუბელი ჰფარავს დროებით იერიშზე გადამსვლელ ნაწილს და საშუალებას აძლევს მას შეუმჩნევლად მიიპაროს მტერთან და ეკვეთოს მას ხიშტით.

თოფის ქიმიური გრანატა გაისროლება თოფიდან, რომელსაც ამისთვის აქვს განსაკუთრებული მოწყობილობა. თოფის გრანატა მიდის 500 ნაბიჯამდი. იხმარება ის ჩვეულებრივად შეტევის დროს, იმ მომენტში, როცა ჩვენ უახლოვდებით მტერს 450—500 ნაბიჯზე. ამ დროს ჩვენს არტილერიას გადააქვს ცეცხლი შორეულ მიზანზე, რათა არ დააზიანოს თავისიანები. ბუნებრივია—მტერი სარგებლობს ამით და აძლიერებს თავის ცეცხლს. რომ ის აიძულო, თუნდაც დროებით, შეანელოს ცეცხლი, ამისთვის იხმარება



ხელით სატყორცნი ქიმიური გრანატა 1914 წ. ტიპის.

თოფის გრანატები, რომლებიც აიძულებენ მოპირდაპირეს გაიკეთონ აირმსპობი. ამ შემთხვევით სარგებლობს იერიშზე მიმავალი ნაწილი და ასრულებს გადარბენას მტრისაკენ.

საერთოდ ქიმიური გრანატების ხმარება მეტად დამოკიდებულია ქარის ძალაზე, ტემპერატურაზე (სითბო-სიცივე) და იმ ადგილმდებარეობის ხასიათზე, საითაც უნდა ისროლო გრანატა. მაგალითად, ყინვა ასუსტებს გრანატის მოქმედებას; გაშლილ ადგილზე ქარის დროს გრანატის მოქმედება ძალიან სუსტია, ხოლო დახურულ, პატარა შენობაში,—მეტად ძლიერი. ამას გარდა ერთი გრანატა დიდს ვერაფერს გააკეთებს; მოქმედების გასაძლიერებლად გატყორცნილ უნდა იქნას რაც შეიძლება გრანატების მეტი რაოდენობა.

პ.

## ძაღლი სანიტარულ სამსახურში.

ძაღლების სანიტარული სამსახური მდგომარეობს დაჭრილთა და აირით მოწამლულთა მოძებნაში ბრძოლის ველზე. უსწორ-მასწორ ადგილებში, ბუჩქნარებში, მაღალ ბალახებსა და ტყეებში სანიტარს გაუჭირდება დაჭრილთა პოვნა და დახმარების აღმოჩენა. ხშირია შემთხვევა, როცა დაჭრილი გადავარდება თხრილში ან ორმოში, საკუთარის ღონით მას არ შეუძლია იქედან ამოსვლა, ხშირად დაძახებაც არ შეუძლია რომ ვინმეს ხმა გააგონოს, ხოლო სანიტრები ახლოს დადიან, მაგრამ ვერ ხედავენ. აი აქ სანიტარი-ძაღლი შეუდარებელ სამსახურს გაუწევს.

სანიტარ-ძაღლის გაწვრთნა იმაში მდგომარეობს, რომ როცა ის ნახავს დაჭრილს, მოხდის მას ქუდს და მიუტანს გამგზავნს. ამას გარდა პატრონის განკარგულებით უჩვენებს მას გზას დაჭრილისკენ. თუ რომ დაჭრილი წევს ისე, რომ ძაღლს არ შეუძლია ქუდის მოხსნა, ამ შემთხვევაში ის დაიწყებს ყეფას და ამ რიგად ის ატყობინებს გამგზავნს დაჭრილის არსებობის შესახებ. არის კიდევ სანიტარ-ძაღლის გაწვრთნის სხვა ხერხიც.

მაგრამ ყველა ეს ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ძაღლი მიეჩვიოს დაჭრილის პოვნას და შემდეგ კვლავ მის მიგნებას.

სანიტარ-ძაღლს შეაბამენ შესახვევ მასალას ყელზე ან შემოაკრავენ მას ზურგზე. ეს იმიტომ, რომ დაჭრილს, რომელსაც აღმოაჩენს ძაღლი, თუ კი ის შესძლებს, შეიხვიოს თავის ხელით ჭრილობა.

მსოფლიო ომში საფრანგეთსა და გერმანიაში სანიტარულ სამსახურში ძაღლების დიდძალი რაოდენობა მუშაობდა. ძაღლების მეოხებით ბევრი დაჭრილი და აირით მოწამლული გადარჩა სიკვდილს.

აი ამაში მდგომარეობს სანიტარ-ძაღლის დაუფასებელი სამსახური ადამიანისადმი.

პ.

**საბჭოთა ხელახალი არჩევნები ადგილებზე უკვე დაწყებულია. მოიწადეთ, თუ რა მონაწილეობას ღებულობთ ამ არჩევნებში და როგორ ჩატარდა და ტარდება ის თქვენთან.**

# მოკლე ვადიანი შეკრება.

(შეკრებათა შორის პერიოდში ტერნაწილების მუშაობის შესახებ.)

### უფრო მტკიცე ორგანიზაციისკენ

ზამთრის პერიოდის განმავლობაში ტერიტორიალურ ჯარების რაიონებში სწარმოებს მუშაობა ცვალებად შემადგენლობის შორის მოკლე ვადიან შეკრებათა ჩატარების გზით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარსის საკითხი ნათელია, დღემდის მისი დიდი მნიშვნელობა ვერაა საკმაოდ გაშუქებული.

აქა-იქ კიდევ ვერ გაუგიათ ამ მუშაობის დედააზრი და შემჩნეულია მისი ორგანიზაციის ფორმებით დაუკმაყოფილებლობა, ხოლო ხშირად—დაეჭვება იმ სიძნელეთა წინაშე, რომლებიც აუცილებელია ამ საქმეში.

უდაოა, რომ ამ მუშაობის გეგმიანობასა და ორგანიზაციაში აუცილებელი ხარისხი ჯერ კიდევ არაა მიღწეული. აგრეთვე არ შეიძლება იყოს ორნაირი აზრი იმ სიძნელეთა და დაბრკოლებათა შესახებ, რომლებიც წინ გვიძევს ჩვენ ამ საქმეში. მაგრამ, თუ ანგარიშს გაუწევთ ამ მუშაობის მნიშვნელობასა და ვიცნობთ, რომ ტერიტორიალურ სისტემის შემდეგი განვითარებითა და განმტკიცებით შემოღებულ იქნება საქმეში საჭირო ორგანიზაცია და, ბოლოს, რომ დაბრკოლებანი და სიძნელენი არსებობენ არა იმისთვის, რათა მათ შემოუაროთ ნაკლებ წინააღმდეგობის გზით, არამედ იმისთვის, რომ ისინი ვსძლიოთ, მაშინ ტერიტორიალურ ჯარების კადრებისა და ცვალებად შემადგენლობის ამოცანაში მიმართულ უნდა იქნას მუდმივი ყურადღება და ღონისძიებანი ამ მხრივ, ვინაიდან ის წარმოადგენს ქვეყნის ომისთვის მომზადების უძთავრეს რგოლს.

ყოველი არმია წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც ისახავს თავის ამოცანად აუცილებელ გამარჯვებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა თვით არმიის შენახვაც.

წარმატება ომში, გამარჯვება ბრძოლაში პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებული, დისციპლინიანი, შეკავშირებული და ძლიერია ჯარის ნაწილი. მასთან, გამარჯვება შეიძლება ბევრი და მცირე მსხვერპლის გაღებითაც, სადაც მეომრის სიცოცხლე დამოკიდებულია იმავე ცოდნასა და დისციპლინაზე, როგორც საერთო წარმატება ომში.

ჩვენი წითელი არმიისათვის, ისტორიულ მემკვიდრეობის ძალით, უკანასკნელ გარემოებას გამონაკლისი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მრავალი საუკუნოების მანძილზე მეფის არმია მუდამ იბრძოდა დიდი მსხვერპლის გაღებით. ეს ხაზი რამოდენიმედ ახასიათებდა წითელ არმიასაც მხოლოდ სამოქალაქო ომის პერიოდში.

### რა საჭიროა მოკლე ვადიანი შეკრება

ტერიტორიალურ ნაწილების სამსახურისა და მომზადების 5 წლიანი სისტემა, რომლის განმავლობაში ცვალებადი შემადგენლობა მიიზიდება შეკრებაზე წელიწადში ერთხელ და მასთან შედარებით მოკლე დროით,—ეს სისტემა დისციპლინის, მომზადებისა და ნაწილის განმტკიცების საქმეში ჰქმნის მთელ რიგ დაბრკოლებას, რომლებიც უსათუოდ უნდა აღვრიცხოთ და რომლებსაც წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ძლიერ ბრძოლის უნარიან და დისციპლინიანი არმიის შექმნა თითქმის დაუძლეველი ამოცანა იქნება.

თუ რომ ზემონათქვამს დაუმატებთ იმ მოსაზრებასაც, რომ ცვალებადი შემადგენლობა მომეტებულად გლეხობაა, რომელიც ნამდვილი სამხედრო სამსახურის დროის მთელ 85 პროცენტს ატარებს თავის ოჯახში, თავის სამუშაოზე და ამ გარემოების გამო ჰკარგავს დიდ მნიშვნელოვან ნაწილს იმისა, რაც მას შეუძენია სასწავლო შეკრებაზე, მაშინ, თუ რომ ამ ორ გარემოებას გავითვალისწინებთ, ჩვენს წინაშე აშკარა გახდება სრული აუცილებლობა საერთო შეკრებათა შორის მოკლე ვადიან შეკრებათა გატარების, რომლის ამოცანაა, საერთო შეკრებასთან ერთად, შექმნილ იქნას სავსებით ბრძოლის უნარიანი და მტკიცედ შეკავშირებული ნაწილები.

ამ დასკვნამ, რომელიც გამოყვანილ ი-ნა ტერიტორიალურ აღმშენებლობის რამოდენიმე წლის გამოცდილებიდან, ჰპოვა გამოხატულება „კანონში სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“, რომლის თანახმად, საერთო შეკრებათა გარდა, „სასწავლო შეკრებათა შორის პერიოდში ყველა გვარი იარაღის ტერიტორიალურ ცვალებად შემადგენლობის სამხედრო მსახურნი გაყვანილ უნდა იქნან ყოველწლიურად მოკლე ვადიან შეკრებებზე საცხოვრებელ ადგილების ახლოს, არა უმეტეს ერთი კვირისა წელიწადში“. იმავე კანონით დაწესებულია, რომ შეკრებათა შორის პერიოდში „ცვალებად შემადგენლობის სამხედრო მსახურნი მიიზიდებიან თავიანთ მეთაურების მიერ ამა თუ იმ სამხედრო მიცემულობის, დავალების ასასრულებლად, მაგრამ ისე, რომ ისინი არ შორდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილსა და მეცადინეობას“.

ცარიელი ადგილი, ანუ ნაკლი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტერიტორიალურ ჯარების მომზადების საქმეში, ამით შევსებულ და გამოსწორებული იქნა. ის, ვისაც ეს არ ესმის, მას არაფერი ესმის ტერიტორიალურ აღმშენებლობისა და ქვეყნის ნამდვილ თავდაცვის უნარიანობის უზრუნველყოფის საქმეში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ თუმცა კანონში ტერიტორიალურ შეკრებებზე გაყვანის საერთო ვადა ძველებურადაა დატოვებული, მაგრამ ტერშეკრების საქმეში პრაქტიკული მუშაობა, მოკლე ვადიან შეკრების შემოღების გამო, შემცირდა სულ ერთი თვით. ძველი კანონით, სამსახურის მეორე წელში ცვალებად შემადგენლობას უწევდა არა ერთი თვით, არამედ ორი თვით გასვლა. ახალი კანონის გამოსვლით და მოკლე ვადიან შეკრების სისტემის შემოღებით, ჩვენ პრაქტიკულად უარვყავით ეს მეორე თვე და ამით ერთგვარი შეღავათი მიეცა მოსახლეობას და მივაღწიეთ ერთგვარ მატერიალურ (ნივთიერ) ეკონომიას.

### მოკლე ვადიან შეკრებათა ამოცანები.

შეკრებათა შორის მუშაობის ძირითადი მიზნები (მოკლე ვადიან შეკრებათათა გატარების წესით, ზემოაღნიშნულ ამოცანასთან შეფარდებით) არიან შემდეგი: იმ ცოდნისა და გამოცდილების განვითარება და განმტკიცება, რომლებიც მიუღია ცვალებად შემადგენლობას საერთო შეკრებებზე. მეორე,—შემჭიდროების განმტკიცება და ტერარმიელში შთანერგვა და აღზრდა გრძნობის, რომ ის ეკუთვნის თავის ნაწილსა და წითელ არმიას; მესამე,—საერთო და პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაციის ხელის შეწყობა. ყველაფერი ეს—გასამხედროების საფუძველზე.

ამოცანა—აღზარდო და განამტკიცო ცვალებადელში გრძობა, რომ ის ეკუთვნის თავის ნაწილს, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა და არც კი მოითხოვს განმარტებას, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში ზემონათქვამს ტერიტორიალურ ჯარების—როგორც ძირითადი ძალის დანიშნულების შესახებ, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს მომავალი ომის ბედი.

ამის გვერდით სდგას სამხედრო დისციპლინის განვითარებისა და განმტკიცების ამოცანა ცვალებად შემადგენლობის შორის. შეკრებათა შორის პერიოდში ცვალებადი შემადგენლობა, ბუნებრივია, ჰკარგავს თავის დისციპლინიანობას ვინაიდან მთელი მისი ცხოვრებისა და მუშაობის გარემოება და პირობები ნაკლებად უწყობენ ხელს ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანის უზრუნველყოფას.

(დასასრული იქნება)

ლ-ძ—ი.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## კულტურული შეფობა.

4-ხე ლეგიონი.

ლეგიონს კულტშეფობის ქვეშ ყავს აყვანილი სოფ. ტინის ხიდი, რომელსაც შესაფერი ყურადღებით ვეპყრობით. განსაკუთრებით დიდათ ეხმარება სოფელს ლეგიონის პირველი კომუჯრედი. დახმარება უმთავრესად ხდება ლიტერატურის სახით. ამას წინად კომუჯრედმა შეიძინა სოფლისთვის 30 მანეთის ლიტერატურა, რომელიც გადაეგზავნა სოფელს სამხედრო კუთხისა და ქოხსამკითხველოს მოსაწყობათ. სოფელში ჩვენ მიერვე იქნა აგებული შენობა ამ მიზნით. ამას გარდა სოფელს ყოველდღიურად ეგზავნება ახალ-ახალი გაზეთები „წითელ არმიელი" და „კომუნისტი".

6 თებერვალს სოფელში გაემგზავრა საშეფო საზოგადოების თავმჯდომარე მრავალი ლიტერატურით, სამოსწავლო ნივთებით და სხვა.

ამნაირად შესაძლებლობის ფარგლებში აღნიშნული კომუჯრედი არ შურავს ენერგიას რაიმე შესძინოს სოფელს.

მომავალში განზრახულია უჯრედისაგან სოფლის სასარგებლოდ ფასიანი საღამოს გამართვა და თვით სოფელში უფასო საღამოების მოწყობა მოსახლეობისათვის.

წ. არმ. ლექსო.

## დისციპლინას მტკიცედ ვიცავენ.

ცხენ ლეგიონი.

10 თებერვალს შესდგა ლეგიონის 1-ლ ესკადრონის ახკომკავშირის ჯგუფის გაერთიანებული კრება, რომელსაც დასწრენ პარტიული და უპარტიო ამხანაგებიც.

გასარჩევი იყო სოფლად მუშაობის შესახებ დებულების განხილვა, დისციპლინის საკითხი და სხვა.

დებულება წაკითხული იქნა მუხლობრივ და გაირჩა დაწვრილებით. ამხანაგებმა მრავალი შეკითხვები შეიტანეს სხვა და სხვა გაურკვეველი მუხლების შესახებ.

დისციპლინის გარშემო ილაპარაკა მთელ რიგ ამხანაგებისამ, რომლებიც მოითხოვდენ დისციპლინის სასტიკად დაცვას და მისი დარღვევის შემთხვევებში შესაფერი ზომების მიღებას.

დასასრულ განხილული იქნა ამხ. წიქვაძის ანკეტა, რომელიც როგორც უღარიბესი გლეხის შვილი და საიმედო პიროვნება მიღებული იქნა კომკავშირის წევრად.

სამხკორი პ. ნადარეიშვილი.

## მოგვეცით სინათლე.

ქართ. ცხენ. ლეგიონი.

ეს რამოდენიმე დღეა, რაც ლეგიონის სასადილოში აღარ გვაქვს განათება. სანათები გადაიწვენ და ყურადღებას არ აქცევენ, რომ გამოსცვალონ.

ვახშმობა გვიხდება წუმწუმის სინათლეზე, მაგრამ რამდენად მოსახერხებელი იქნება ეს ძნელი წარმოსადგენი არ არის. საჭიროა მნემ საჩქაროდ შეიძინოს სანათები და მოგვეცეს ნორმალურად ვახშმობის საშვალება.

სამხკორი ლოლი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## საპატიო წითელ არმიელები.

2 თებერვალს შესდგა ქართულ ცხენოსან ლეგიონის მთელი შემადგენლობის გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 400 კაცზე მეტი.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი—ლეგიონისთვის საპატიო წითელ არმიელების არჩევის შესახებ.

ამ საკითხის ირგვლივ სიტყვით გამოვიდა ლეგ. სამხკომი ამხ. ქაჯაია, რომელიც ვრცლად შეეხო საპატიო წითელ არმიელების არჩევის მნიშვნელობას.

დაბოლოს ამხ. ქაჯაიამ მოუწოდა კრებას წამოეყენებიათ თავ-თავიანთი კანდიდატები.

მთელი კრება აღფრთოვანებით შეეგება ამხ. ქაჯაიას წინადადებას.



1. ლეგ. 1-ლ ესკადრონმა თავის მხრივ დაასახელა საპატიო წითელ-არმიელად ამხ. ს. ორჯონიკიძე.
2. ლეგ. უმცროს მეთაურთა სკოლამ ამხ. ლევანდოვსკი;
3. 2-რე ესკადრონმა—ამხ. შალვა ელიავა;
4. საკავშირო გუნდმა კი ამხ. ლ. სუხიშვილი.

სამნეო გუნდმა- ამხ. გამყრელიძე და

3-მე ესკადრონმა—ამხ. ჩაიკოვსკი;

დასახელებული პირები კრებამ ერთხმად და დიდი ოვაციებით მიიღო.

## როდის გატარდება მოკლე ვადიანი შეკრება.

მეორე ქართულ მსროლელ დივიზიისადმი გამოცემულია ბრძანება 1899, 1900, 1901 და 1902 წ. დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელთა და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის მოკლე ვადიანი (7 დღიანი) შეკრების შესახებ.

თანახმად აღნიშნული ბრძანებისა 7 დღიანი შეკრება ტარდება დრო-გამოშვებით და უმეტეს შემთხვევებში უქმე დღეებით ქვემოთ აღნიშნულ რიცხვებში:

1-ლი შეკრება—25 თებერვალს (ერთი დღე);

2 შეკრება— 6 და 7 მარტს (ორი დღე);

3 შეკრება—12 და 13 მარტს (ორი დღე);

4 შეკრება—20 და 21 მარტს (ორი დღე);

სულ 7-დი დღე.

აღნიშნული შეკრება უმეტეს შემთხვევებში მოხდება ერთეულების განყ ფილებათა ძიროდ შემადგენლობის დაბანაკების ადგ ლებზე.

## ჩვენი დრამ-წრის საქმიანობა.

4-ხე ლეგ. 2-რე ათასეული.

6 თებერვალს შესდგა ათასეულის დრამატიული წრის კრება, რომელზედაც გაკეთებული იქნა მოხსენება დრამწრის წარსული მუშაობის შესახებ და შემდეგ განხილული იქნა მომავალი მუშაობის გეგმა.

წრის მუშაობის შესახებ მოხსენებამ გამოარკვია, რომ ბევრი დაბრკოლებები ეღობებოდა მას წინ, რადგან საერთო შეკრების შემდეგ წრეს მოჰკლებია კარგი ძალები, როგორც ძირითადი ისე ცვალებადი წითელ არმიელების სახით. ამ მოვლენამ საგრძნობლად შეაფერხა წრის მუშაობა, მაგრამ მოვიდენ თუ არა შემოდგომაზე გამოწვეული წითელ არმიელები, წრის მუშაობა გამოცოცხლდა. ყოველთვიურად ორჯერ იმართებოდა უფასო წარმოდგენები.

როგორც გამოირკვა ჩვენ მუშაობას საგრძნობლად უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ ქალაქ. კლუბის გამგე იშვიათად გვითმობდა კლუბს წარმოდგენებისათვის.

მოხსენების შემდეგ მოხდა დრამწრის გამგეობის გადახალისება, რომელშიდაც წითელ არმიელებიც იქნენ ჩაბმული. კრებამ დაავალა ახალ გამგეობას ენერგიულად მოჰკიდოს ხელი მუშაობას.

სამხკორი ლავრო.

## რას გვეტყვის ამაზე მნე?

2-ე ლეგიონი.

ლეგიონს აქვს საპარიკმახერო, სადაც მუშაობს დაქირავებული მოხელე. ცხადია მას უნდა ევალებოდეს წითელ არმიელების გაპარსვაც, მაგრამ ეს ასე არ ხდება. აღნიშნული ამხანაგი წითელ არმიელებს ისე არ პარსავს, თუ ფული არ მისცეს. ის იქამდეც კი მიდის, რომ ლანძღვა გინებით ერეკება მათ გარეთ.

ვერ გაგვიგია რაშია საქმე. რა პირობით დაიქირავა ის სამნეო ნაწილის უფროსმა. წითელ არმიელებს სად აქვთ იმდენი ფული, რომ ყოველი გაპარსვის დროს ფული იხადონ. საერთო კანონით ლეგიონს უნდა ყავდეს ასეთი წითელ არმიელებისათვის.

რას გვეტყვის ამაზე ჩვენი მნე და როგორ ზომებს მიიღებს?

## ამხ. იმნაიშვილის წერილის გამო*).

(იხილეთ ჩვენი გაზეთის №№ 25 (1020) და 26 (1021)).

ჩვენი გაზეთის ზემო აღნიშნულ ნომრებში ამხ. იმნაიშვილი ეხება ლეგიონის კედლის გაზეთის არსებობის საკითხს. ის ამბობს, რომ რადგან არ არის ლეგიონ. გაზეთის გამოცემისთვის სათანადო პირობები, გაზეთების გამოცემის ასეულის სისტემაზე გადასვლის გამო, ამიტომ სვამს კითხვას; „საჭიროა თუ არა გამოდიოდეს ლეგიონის კედლის გაზეთი"? ამხ. იმნაიშვილი იქვე დასძენს და გამოყავს დასკვნა: რომ არ არის საჭირო. ჩვენის აზრით ეს პირდაპირ შეცდომა არის,—და აი რატომ.

ჩვენ ვიცით რომ, მე-2 დივიზიის ლეგიონებს თავისი ერთეულები (ასეულები) დაქსაქსული ყავს წერტებზე. ნაწილის პოლიტიკურ—მორალურ საკითხების მოგვარებისა და წით. არმიელთა აღზრდისთვის, ერთის მხრივ და აქტივის გამომჟღავნებას და წით. არმიელებს შორის სამხკორთა კადრის შექმნას, მეორეს მხრივ, უსათუოდ ემსახურება ასეულის კედლის გაზეთი.

ვიკითხოთ რას ემსახურება ლეგიონის კედლის გაზეთი? (ვეჭვობ, რომ რაიმე დახმარებას უწევდეს ლეგიონის კედლის გაზეთი ლეგიონის ასეულებს) არ იქნება სიცრუე თუ ვიტყვით: მაინცა და მაინც არაფერს. რატომ? ლეგიონის კედლის გაზეთი გამოდის ნაწილის ბ. კ. ხელმძღვანელობით, თვით შტაბთან; მაშასადამე პირველ რიგში მას წაიკითხავს შტაბთან მდგომი ნაწილები. წერტები კი უნდა დაკმაყოფილდენ თავიანთი კედლის გაზეთებით. გამოდის, რომ ლეგიონის კედლის გაზეთი არ არის ლეგიონის, არამედ შტაბისა და მასთან ახლო მდგომ ნაწილების. ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევაში ლეგიონის კედლის გაზეთს უნდა წაერთვას ასეთი სახელწოდება; რადგან ის ვერ ამართლებს სათაურის შინაარსს.

აქ ჩემის აზრით საჭიროა ლეგიონის კედლის გაზეთის უარყოფა და მის ნაცვლად ხელმძღვანელობის გაძლიერება, ასეულის კედლის გაზეთის გამოცემის კიდევ უფრო გაძლიერება—გაშინაარსიანებისათვის.

გარდა ამისა ამხ. იმნაიშვილი აყენებს დებულებას, რომ ნაწილთან შექმნილ იქნეს სამეული. მე არ ვიცი რა აქვს ამხ. იმნაიშვილს მხედველობაში, რომ აყენებს ასეთ დებულებას. ჩემის აზრით სამეულის შექმნა არ არის საჭირო და ასეთი ორგანიზაცია კედლის გაზეთების გაძლიერებისათვის იქნებოდა უსიცოცხლო და უმოქმედო.

სამეულის მაგივრად ამ შემთხვევაში ნაწილის ბ. კოლექტივმა თავისი მუშაობის ხაზით უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა ასეულის კედლის გაზეთებზე ლეგიონის სამხკორ—ორგანიზატორის საშვალებით.

გ. სხვიტარიძე.

*) კამათის წესით.

## სამხკორებო! ახლოვდება საქართველოს გასაბჭოების 5 წლისა და წითელ არმიის 8 წლის თავი. გამოაგზავნეთ, რაც შეიძლება დაჩქარებით, კორესპონდენციები ამ დღესასწაულების შესახებ.

## მანევრებზე.

1-ლი არტლეგიონი.

11 თებერვალს ლეგიონმა მოაწყო მანევრები, რომელსაც დაესწრენ ლეგიონის არტსკოლის კურსანტები და სხვა ნაწილების წარმომადგენლებიც.

მწყობრის თავები გვერდში გვედგენ და გვიხსნიდენ თუ როგორ მოძრაობენ სხვა და სხვა მოცემულობის სისრულეში მოსაყვანად და სხვა. უნდა დაწყებულიყო სროლებიც, რასაც დიდი სიხარულით მოველოდით. სამწუხაროდ ცუდი ამინდი დაიწყო და ჭურვების გასკდომას ვეღარ ვადევნებდით თვალს. მიუხედავად ამისა მანევრებზე ბევრი რამ საყურადღებო ვნახეთ და დიდი ინტერესი გამოიწვია ყველა შემოდგომაზე გამოწვეულ წითელ არმიელებში.

წ. არმ. ვარლ. ქუპატაძე.

## სამხედრო დისციპლინას მტკიცედ ვიცავთ.

ცხენ. ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონი თანდათან ამტკიცებს თავის რიგებს, შეგნებული და ამხანაგური დისციპლინით. სამხედრო კომისარი და სხვა უფ-პოლიტშემადგენლობა ამ გარემოებას ყოველმხრივ უწყობენ ხელს წითელარმიელებთან თვისი ამხანაგური დამოკიდებულებით. ხშირია შემთხვევა, რომ სამხედრო კომისარი მოდის წითელარმიელებთან ესკადრონებში და ატარებს საუბრებს. შევილის ლენკუთხეებში, ათვალიერებს კითხვა-პასუხის რვეულებს, ამოწმებს თუ რამდენად სწორ პასუხს აძლევენ წითელარმიელების შეკითხვებზე ხელმძღვანელი ამხანაგები და მრავალი სხვა. ხშირად ეკითხება არმიელებს თავიანთ ჭირ-ვარამზე, სთხოვს არ დაუმალონ თუ რამეზე უკმაყოფილონი არიან და რამე აწუხებთ. ის დაწვრილებით ეცნობა ჩვენს ყოფაცხოვრებას და თუ რამე შენიშნა სწრაფად იძლევა განკარგულებას გამოსწორებისათვის.

ყველა ასეთი საქციელი პასუხისმგებელი ამხანაგის კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს წითელარმიელებზე და ამიტომ არის, რომ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა ლეგიონში დისციპლინის დარღვევის. გაუმარჯოს ჩვენს მეთაურებსა და ჩვენს ასეთ დამოკიდებულებას.

სამხკორი ნ—ი.

## საჭირო აბანო.

**6-ე ლეგ. 3-ე ასეული.**

ჩვენი ნაწილის წითელ არმიელები ყველაფრით დაკმაყოფილებული არიან, მხოლოდ აბანო არა გვაქვს თავის დროზე და ძლიერ გვაწუხებს ეს გარემოება.

კარგი იქნება ჩვენი მესვეურები შესაფერ ყურადღებას მოგვაქცევდენ და მოგვცენ საშვალება დავიცვათ სისუფთავე.

სამხკორი შ. ლილუაშვილი.

## ამბები სოფლებიდან

**ახალქალაქის აღმასკომმა** სახალხო სასამართლოსთან მოაწყო გლეხებისათვის იურიდიული რჩევა-დახმარების ბიურო.

**Დახმარება ღარიბებს.** სიღნაღის აღმასკომს ოქტომბრიდან—დეკემბრამდე გაუცია დახმარებათ ღარიბებზე 710 მან.

**ახალციხის მაზრის გლეხკომების** მუშაობაში ჩაბმულია 740 გლეხი. მათ შორის 491 ქართველი მუსლიმანია.

**სათესლე ხორბალი.** შარშან ახალქალაქის სამაზრო გლეხკომის ინიციატივით დაუნაწილდათ გლეხებს 600 ფუთი სათესლე ხორბალი.

**საექიმო პუნქტები.** საქ. წით. ჯვრის საზოგადოება საექიმო პუნქტებს ხსნის სოფ. ზუდეში (აჭარა), ანაკლიაში (სამურზაყანო) და ახალ-გავაზში (კახეთში).

## ახალი ამბავი.

— **წყალსადენი გარე უბნებში.** აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ქალაქის გარე უბნებში წყალსადენების გაყვანას. ამ ჟამად წყალსადენის მილი გაყავთ საბურთალოში.

— **აღმასკომის საგეგმო** კომისიამ მიზანშეწონილად სცნო წყალსადენის ელექტროფიკაციისათვის გადასდოს 110 ათასი მანეთი.

— **წარმოებები მაზრაში.** აღმასკომი მოკლე ხანში შეუდგება მაზრაში წარმოებების მოსაწყობათ გეგმის გამომუშავებას. პირველ რიგში მოეწყობა: წისქვილები, სახერხი ქარხნები, აგურის, კრამიტის, საკონსერვო და სხ. ქარხნები.

— **კალოშები.** „რეზინოტრესტი" ამ დღეებში მიიღებს 38,100 წყვილ კალოშს.

— **შეღავათი.** მთავრობამ დაადგინა ახლად დაარსებულ საბინაო-საამშენებლო კომიტეტებს მიეცეს შეღავათი საბინაო-მშენებლობის საქმეებში.

— **საქართველოს ცაკთან** დაარსდა საქ. გასაბჭოების 5 წლის თავის სადღესასწაულო საგანგებო კომისია 15 კაცის შემადგენლობით.

## უცხოეთის არმიებში

**წვევამდე სამხედრო მომზადება საფრანგეთში.**

წვევამდე სამხედრო მომზადების საქმეს საფრანგეთში ხელმძღვანელობს წვევამდე მომზადების განსაკუთრებული კომიტეტი. ამ ჟამად წვევამდე მომზადება შეიცავს 9.000 სკოლამდე და 8.000 სხვა და სხვა სპორტიულ ორგანიზაციებამდე.

წვევამდელის მომზადება იყოფა უბრალო სამხედრო მომზადებათ და უმაღლეს სამხედრო მომზადებათ. პირველი ტარდება წვევამდე სამხედრო მომზადების სკოლებსა და სპორტიულ ორგანიზაციებში, ხოლო მეორე კი უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლებში.

უმაღლესი სასწავლებლის კურსის დამთავრების შემდეგ თითეულს შეუძლია ჩააბაროს გამოცდები თადარიგის ოფიცრის სახელწოდებაზე.

ფიზიკური მომზადება განიყოფება ტანვარჯიშად, სამწყობრო სიარულის კურსის გავლასა და ჰიგიენათ.

ჰიგიენის მიზანია გამოიმუშაოს ახალგაზრდა წვევამდელში ის აზრი თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის ჯანმრთელობის დაცვას და მისცეს მათ პრაქტიკული ცნობები ჰიგიენიდან.

სამხედრო მომზადებამ უნდა შეასწავლოს წვევამდელს ველში გაგნებაზე დადგომა, ადგილმდებარეობისადმი შეგუება, მანძილის გაზომვა—გაგება და სხვა და სხვა იარაღები მოხმარება.

წვევამდე მომზადებას შედეგები არ არის მაინცა და მაინც საყურადღებო (საფრანგეთში). ასეთივე მდგომარეობაა სროლის საქმეში. საფრანგეთის სამხედრო გაზეთი სწერს: ფრანგები ყოველთვის ცუდათ ისროდენ და ცუდათ ისვრიან ეხლაცა.

**ახალი ჯავშნოსანი ინგლისში.**

17 დეკემბერს ინგლისელებმა ქ. ბირკენხედში ჩაუშვეს წყალში ახლად დამზადებული ჯავშნოსანი გემი „როდნეი", რომელიც სექტემბერში დამზადებულ ჯავშნოსან „ნელსონთა"-ნ ერთად უდიდეს ჯავშნოსნად ჩაითვლება მთელს მსოფლიოში.

თითეული ჯავშნოსანის წყალტევა უდრის 35.000 ტონს; სიგრძე 902 ფუტს.

შეიარაღებულია ჯავშნოსანი 9 თექვსმეტ დიუმიანი და 12 ექვს დიუმიანი ზარბაზნებით. მოსამსახურეთა რიცხვი თითეულზე აღწევს 1.500 კაცამდე. თითეულის დამზადება დაჯდა 7 მილიონი გირ. სტერლინგი. თითეულისათვის გაწეული ხარჯი ყოველ წლიურად უდრის 4 მილიონ მანეთს.

## ბიბლიოგრაფია

**დროებითი სადისციპლინო წესდება. ტ. „ქართ. სამხ. სარედ. საგამომცემლო კოლეგია" 1925 გვ. 27.**

ჩემს მიზანს შეადგენს, ზოგიერთი მოსაზრებანი გამოვსთქვა სადისციპლინო წესდების შესახებ. წიგნაკი ნათარგმნია რუსულიდან იმ მიზნით, რომ ჩვენი ნაწილების შემადგენლობას გაუადვილდეს მისი გაგება და შეთვისება, მაგრამ, სამწუხაროთ ვერ ვიტყვით, რომ მიზანი მთლიანათაა მიღწეული. უპირველეს ყოვლისა, წიგნის აღებისას თვალში გეცემათ უამრავი რუსიციზმები, რომლებიც ხელს უშლიან აზრის მკაფიოთ გაგებას, წესდება უნდა იყოს ერთობ სადა და გარკვეული. ქართულათ ნათარგმნ წესდებაში კი ამას ვერ ვხვდებით. ცხადია, აქ სარედაქციო კოლეგიას დაბრკოლებები ექნებოდა; თუ გინდ უდავო ქართული სამხედრო თერმინების უქონლობა, მაგრამ—სიტყვა—სიტყვით თარგმნის გვერდის ახვევა მაინც შესაძლებელია. მაგ. ქართული გამოცემის მერვე გვერდის მეორე თავში, მუხლი 8 ვკითხულობთ: —„სადისციპლინო პატიჟნი, გამოდიან რა აღზრდის და მიჩვეულებათა და შეგნებულ მოქალაქე მეომრის ღირსებათა ამჩქარებელ საშუალებათ გამოიყენება დისციპლინის მოთხოვნილებათა დამრღვევ მცირე დანაშაულის ჩადენისას". ეს ნაწილი, ისე როგორც ბევრი სხვა—სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი და არ მგონია აქ აზრის დიდი გარკვეულება იყოს დაცული. მაგ. ძნელი გასაგებია არა თუ წითელ არმიელისთვის არამედ მეთაურისთვის რომელ „აჩქარებაზე" გვაქვს საუბარი. ეს ადგილი რომ ყოფილიყო თავისი შინაარსით გადმოცემული რუსულიდან-ქართულათ და არა რუსული სიტყვები შეცვლილი ქართულით—მაშინ სხვა იქნებოდა. შემდეგ—სიტყვა Рядовой ნათარგმნია—მორიგეთ. მაგ. მეორე თავის მეათე მუხლში ვკითხულობთ; А. На рядовой состав, ქართულათ—ა. მორიგე შემადგენლობისადმი. ეს მემგონია ხელს უშლის ნათელ წარმოდგენას. რატომ არ შეიძლებოდა თარგმნილიყო „მორიგეს" ნაცვლათ „რიგის"? მით უფრო რომ ქართული „მორიგე" ხშირათ ითარგმნება—როგორც რუსული „Дежурный".

კიდევ მრავალი ასეთი შეცდომების მითითება შეიძლებოდა, რომლებიც ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევენ მკითხველში, მაგრამ მგონია ესეც საკმაოა. აუცილებლათ საჭიროა, რომ მომავალში ეს შეცდომები გამოსწორდეს.

გარეგნულათ წიგნი ლამაზად არის გამოცემული. ღირს 20 კ.

გრ. შავგულიძე.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო, გამოიწერეთ და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი"

## პასუხი შეკითხვებზე.

**ა. გა—ძეს.** მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა დაწესებულების მოვალეობას შეადგენს.

**იმერლიშვილს.** მიმართეთ სკოლის უფროსს.

**ჭკადუას.** ექვსი თვით თუ დათხოვნილი იყავით, ეხლა, რასაკვირველია, მოკლე ვადიანი შვებულება არ გერგებათ.

**კუტუბიძეს.** თანახმად შინა სამსახურის წესდების 168 მუხ. თამბაქოს მოწევა კანცელარიაში საერთოდ არ შეიძლება.

**მზვერავს.** როცა ცხენების მწმენდავი წ. არმიელები საკმაო არ არის, მაშინ, რასაკვირველია ათის თავიც მოვალეა გასწმინდოს თავის ცხენი.

**ქავთარაძეს.** თუ თქვენს ტანსაცმელს გაუვიდა ტარების ვადა, მაშინ გეკუთვნით ახალი.

**კვატაშ ძეს.** უვადო შვებულებაში წახვალთ მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

**ნანაშვილს.** მთელი სამსახური უნდა გაიაროთ იმ ნაწილში, სადაც ეხლა ირიცხებით.

**ტროყაშვილს.** სამსახური უნდა გაიაროთ თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 1274—24 წ., ე. ი. უნდა ჩააბაროთ გამოცდები საშუალო მეთაურზე, ვინაიდან ეხლა თქვენ ირიცხებით ქვეითა ჯარში.

**ილია იმერლიშვილს.** სკოლის უფროსს ქონდა თქვენი დატუსაღების უფლება.

**ბა—შას.** არ გეკუთვნით.

**გოგელიას.** მოხალისეების მიღება ჯარში შეწყვეტილია.

**მე—ძეს.** ტანსაცმელი წ. ა. საკუთრებას არ შეადგენს.

**ლ. ხა—შვილს.** თუ თქვენი უვადო შვებულებაში წასვლამდე გაიწვიეს თქვენი ძმა, მაშინ ის ისარგებლებს შეღავათებით, ე. ი. გადარიცხულ იქნება ცვალებად შემადგენლობაში.

**ნიველირს.** აქამდე უნდა ჩაგებარებიათ გამოცდები, ეხლა უნდა იმსახუროთ საერთო წესით. დაგითხოვენ 1926 წ. შემოდგომაზე.

## ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

25 თებერვალს სრულდება საქ. გასაბჭოების 5 წელი. საქ. გასაბჭოების მე-5 წლის თავზე ჩვენ მუშებსა და გლეხებს უნდა აუხსნათ, თუ რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში ამ ხნის განმავლობაში.

საქართველოს გასაბჭოების მე-5 წლის თავი და წითელი არმიის მე-8-ე წლის თავი ერთ და იმავე დროს სრულდება. ამისათვის დღესასწაულის ჩატარების დროს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს საერთო წითელ არმიის და კერძოთ კი კავკასიის წითელდროშოვან არმიის ღვაწლს საქ. მუშებისა და გლეხების მენშევიზმის უღლიდან გათავისუფლების საქმეში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აგრეთვე, როგორც უდიდესი მიღწევა ამიერ-კავკასიის ერთა შორის კავშირის დამყარება.

საქ. კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დღესასწაულის ჩატარებაში; დეტალურათ აუხსნას მუშებსა და გლეხებს კომკავშირის მიღწევები, მისი მიზნები, ამოცანები სოციალისტურ მშენებლობაში და წითელ არმიის რიგების განმტკიცების საქმეში.

დღესასწაულში აქტიურ მონაწილეობის მიღების მიზნით ცეკა წინადადებას გაძლევთ მიიღოთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. მუშებთან და გლეხებთან ერთად მონაწილეობა უნდა მიიღოთ დემონსტრაციებში, სადაც ასეთები ჩატარდება.

2. პარტიის, პროფკავშირების და წითელ არმიის საერთო ძალებით მოაწყვეთ სპექტაკლები და საღამოები.

3. დღესასწაულის დღეს მოაწყვეთ ექსკურსიები წითელ ყაზარმებში.

4. მიტინგებზე და საზეიმო სხდომებზე კომკავშირიდან გამოყავით მომხსენებლები კავშირის მიღწევების შესახებ.

5. საჭიროა პარტიასთან ერთად სოფლებში მივლინებულ იქნას კომკავშირელი პროპაგანდისტები მიტინგების მოსაწყობათ და საღამოების ჩასატარებლად. გამოშვებულ იქნას კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები.

6. ყველა კულტურულ დაწესებულებებში (კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, სკოლებში, და სხვა.) სასურველია მოეწყოს სხვადასხვა წრეების მიღწევათა გამოფენა.

7. დღესასწაულის ჩატარებაში ჩაბმულ იქნას პიონერ ორგანიზაციები და ფიზკულტურის წრეები.

8. საოლქო და სამაზრო კომიტეტები აგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს დღესასწაულის მომწყობ კომისიებში. კავშირის მთელი პრაქტიკული მუშაობა უნდა ჩატარდეს კომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მასალები მოხსენებისათვის და ლოზუნგები გამოქვეყნებული იქნება ცენტრალურ გაზეთებში.

ს. ა. ლ. კ. კ. მდივანი: დარახველიძე.

ც. კ. პოლიტ-განის გამგე: კეკელია.

## ჩვენი ფოსტა

**ამხ. ი. მარინავას** (მე 2 ლეგ.). თქვენი წერილი ლეგიონის მეორე ათასეულის შესახებ, გამოდგება ადგილობრივი კედლის გაზეთისათვის.

**ამხ. მ. ჭყონიას** (მე-5 ლეგ.). წერილი საჭიროა ეს ნაკლი გამოსწორდეს არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კონკრეტულად რაზე ლაპარაკობთ.

**ამხ. ხარატიშვილს და ალავიძეს** (1-ლი საარტილერიო). თქვენი წერილები ისტორიულ მუზეუმში ექსკურსიის შესახებ, არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ ლეგიონის 3-მე ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ კანდიდატებათ შემდეგ ამხანაგებს:

მურვანიძე სამსონს (კომკავშირის წევრი), ურთმელიძე ვასილს (კომკავშირელი) და შახნაზაროვ რუბენს (უპარტიო.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ მათ შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ დღიდან გამოცხადებისა ერთი კვირის განმავლობაში.

მე-3 ასეულის კომუჯრედის მდივანი კ. ქაჯ.

## გამოვიდა ახალი წიგნები.

1) გეხტმანი, გ. საქართველოს ეკონომიური გე[illegible] ტ. „ზაკკნიგა" 1926 წ. ფ. 1 მან. 50 კ. მესამე გ[illegible] 2) ავალიშვილი, ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა [illegible] ელიავას წინასიტყვაობით. ტ. „ზაკკნიგა" 1926 წ. ფ. 2 მ. 50 კ; 3) ზინოვიევი, გ. რუსეთის კომუნისტურ პარტიის [illegible] ტორია. მესამე გამოცემა ტ. „ზაკკნიგა" 1926 წ. ფ. 1 [illegible] 4) აფციაური, დ. საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება [illegible] მიმდინარე არჩევნები ტ. შინაგან საქმეთ სახ. კომისარიატის გამოცემა ტ. 1926 წ. ფ. 30 კ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ღრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. სიმონგულოვი